IV

შემთხვევით მოსმენილი საუბარი

პაპა და შვილიშვილი სკოლიდან შინ ბრუნდებოდნენ. გზა მეც იქით მქონდა და უნებურად მესმოდა მათი საუბარი.

გოგონა შვიდი-რვა წლისა იქნებოდა, პაპა კი, ვინ იცის, რამდენის.

- მიამბე, რა მოხდა დღეს საინტერესო სკოლაში? – სთხოვა პაპამ.

- არაფერი, – უპასუხა გოგომ.

- სულ არაფერი?

გოგო დაფიქრდა.

- ორმა გოგომ იჩხუბა. ერთმა უთხრა მეორეს, შენი არ მჯერა, ცნობილი მატყუარა ხარო. სულ თმები დააწიწკნეს ერთმანეთს!

- ოოო! ეს უკვე ხუმრობა არ არის! სახელის გატეხას თავის გატეხა სჯობსო, ამაზეა ნათქვამი.

გოგოს გაეცინა.

- როგორ შეიძლება სახელის გატეხა, ფინჯანი ხომ არ არის?!

- შეიძლება და მერე როგორ! გატეხილი თავი ისევ გამთელდება, ფინჯანიც დაწებდება, აი, სახელი კი...

- რას ნიშნავს გატეხილი სახელი? – ჩააცივდა გოგო.

- შერცხვენილ სახელს ნიშნავს, შელახულსაც ეძახის ზოგი. – აუხსნა პაპამ, – აი, მაგალითად, ერთი კაცი დაჰპირდა მეორეს, მიდი და მოვდივარო.

- სად მიდიო?

- სულერთია, რამე ძნელ საქმეზე, ვთქვათ, ხანძრის ჩასაქრობად. ჰოდა, არ გაჰყვა, სიტყვა გატეხა და მიატოვა გზაში.

- სიტყვაც შეიძლება გატყდეს? – გაუკვირდა გოგოს.

- მააშ! სიტყვის გატეხას მოსდევს ხოლმე სახელის გატეხა, – განაგრძო პაპამ ჭკუის დარიგება, – ამიტომ თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდე ორივეს!

გოგო დაფიქრდა და უცნაური რამ თქვა:

- შეხედე, რა ეშმაკები ყოფილან ფრანგები!

- ვინ ფრანგები? – ვერ მიუხვდა პაპა.

- ერთი ბიჭი სწავლობს ჩვენთან მესამე კლასში, ფრანგია, გვარად მუჟე. დედა ქართველი ჰყავს. და იცი, რა ჰქვია? ალენ ლევან გიგი.

LIVEWORKSHEETS

- ჰოო, მაგათ ეგრე იციან, რამდენიმე სახელს ატარებენ. დიდი მეცნიერი ჰყავდათ ერთი, გვარად ლამარკი, სახელად კი ჟან ბატისტ პიერ ანტუან დე მონე.

- აუუუ! – შეიცხადა გოგომ და ეშმაკური ღიმილით დააყოლა, – მივხვდი რატომაც! ერთი გაუტყდებათ – მეორე დარჩებათ, მეორე გაუტყდებათ – მესამე.

- არა, არა! – გაეცინა პაპას, ეს ეშმაკობა ვერ უშველით! ერთი თუ გატყდა, თავისთავად დაიმსხვრევა დანარჩენიც!

- გავიგე, მესმის, – დიდი ქალივით დაეთანხმა გოგო, – ეს ისე ვთქვი, ხუმრობით. ვეცდები არასდროს გამიტყდეს ჩემი ერთადერთი სახელი. – და ისევ ეშმაკურად გაიღიმა.

„ნეტავ რა ჰქვია?“ – გავიფიქრე მე.

პაპამ თავზე ხელი გადაუსვა და ერთად შევიდნენ პატარა ლამაზ ეზოში.

რატომღაც მისამართი დავიმახსოვრე და ვინატრე: „ნეტავ ბევრი იყოს ჩვენს ქალაქში ასეთი ეზოები“.

დავით ჯავახიშვილი

1. სად მოისმინა მწერალმა პაპისა და შვილიშვილის საუბარი?

ა. სკოლაში;
ბ. ქუჩაში;
გ. ეზოში.

2. ვინ ამბობს მოთხრობაში ამ სიტყვებს: „ოოო! ეს უკვე ხუმრობა არ არის!“

ა. გოგონა;
ბ. მოთხრობის ავტორი, რომელიც საუბარს ისმენს;
გ. პაპა.

3. ვინ ამბობს ამ სიტყვებს: „სად მიდიო?“

ა. გოგონა;
ბ. მოთხრობის ავტორი, რომელიც საუბარს ისმენს;
გ. პაპა.

LIVEWORKSHEETS

4. პაპის განმარტებით, რას ნიშნავს გატეხილი სახელი?

---

5. ამ მოთხრობაში გამოყენებულია ანდაზა. იპოვე და ამოწერე:

---

6. პაპა ამბობს: „თვალისჩინივით უნდა გაუფრთხილდე ორივესო“. რა და რა იგულისხმა მან?

ა) ----------
ბ) ----------

7. დაფიქრდი, რატომ ამბობს გოგო: „რა ეშმაკები ყოფილან ფრანგები!“

---

8. რატომ არის მოთხრობაში მოხსენიებული ლამარკი?

ა. იმიტომ, რომ ლამარკი მეცნიერი იყო;
ბ. იმიტომ, რომ ის სახელგანთქმული პიროვნება იყო;
გ. იმიტომ, რომ მას რამდენიმე სახელი ჰქონდა.

9. რატომ იღიმება გოგო ეშმაკურად პაპასთან საუბრის დროს?

ა. პაპის ნათქვამს სასაცილოდ იგდებს;
ბ. პაპასთან სახალისო და საინტერესო საუბრის გაბმა შეძლო;
გ. მოჩხუბარი გოგონები ახსენდება.

10. იპოვე და ამოწერე მოთხრობიდან ის წინადადება, რომელიც მიგვანიშნებს, რომ მწერალს მოსწონს პაპა და შვილიშვილი:

LIVEWORKSHEETS

11. მოთხრობის მიხედვით, პაპა და შვილიშვილი წესიერი, კეთილშობილი ადამიანები არიან. საიდან ვიგებთ ამას?

ა. მწერალი ამბობს, რომ პაპა და შვილიშვილი წესიერი, კეთილშობილი ადამიანები არიან;
ბ. პაპისა და შვილიშვილის საუბრიდან ჩანს, რომ ისინი წესიერი, კეთილშობილი ადამიანები არიან;
გ. პაპისა და შვილიშვილის საქციელიდან ჩანს, რომ ისინი წესიერი, კეთილშობილი ადამიანები არიან.

12. როგორია ეს მოთხრობა?

ა. ხალისიანი და გასართობი;
ბ. ხალისიანი და დამაფიქრებელი;
გ. ძალიან სევდიანი და დამაფიქრებელი.

LIVEWORKSHEETS